

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ
თავი I

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი
თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
შემოსავლები	19080780	20770000	24568643
გადასახადები	9662275	10370000	12000000
გრანტები	9142440	10000000	12068643
სხვა შემოსავლები	276065	400000	500000
ხარჯები	18135211	22128975	24806593
შრომის ანაზღაურება	7783793	9469145	10598513
საქონელი და მომსახურება	3053214	3947945	4751553
სუბსიდიები	4329299	4636006	5784197
გრანტები	7295	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	2119017	2164300	2202950
სხვა ხარჯები	842593	1911579	1469380
საოპერაციო სალდო	945569	-1358975	-237950
არაფინანსური აქტივების ცვლილება	754760	441640	702050
ზრდა	789727	441640	702050
კლება	34967	0	0
მთლიანი სალდო	190809	-1800615	-940000
ფინანსური აქტივების ცვლილება	190809	-1800615	-940000
ზრდა	190809	0	0



ვალუტა და დეპოზიტები	190809	0	0
კლება	0	1800615	940000
ვალუტა და დეპოზიტები	0	1800615	940000
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
კლება	0	0	0
ბალანსი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 3 ივნისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 03.06.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
შემოსულობები	19115747	20770000	24568643
შემოსავლები	19080780	20770000	24568643
არაფინანსური აქტივების კლება	34967	0	0
გადასახდელები	18924938	22570615	25508643
ხარჯები	18135211	22128975	24806593
არაფინანსური აქტივების ზრდა	789727	441640	702050
ვალდებულებების კლება	0	0	0
ნაშთის ცვლილება	190809	-1800615	-940000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 3 ივნისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 03.06.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი №20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

თავი II

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები



განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები **24568643** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
შემოსავლები	19080780	20770000	24568643
გადასახადები	9662275	10370000	12000000
გრანტები	9142440	10000000	12068643
სხვა შემოსავლები	276065	400000	500000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 3 ივნისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 03.06.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადები **12000000** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
გადასახადები	9662275	10370000	12000000
საშემოსავლო გადასახადი	9662275	10370000	12000000
ქონების გადასახადი	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 3 ივნისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 03.06.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გრანტები

ფინანსური დახმარება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტს 12068643 ლარი.

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
გრანტები	9142440	10000000	12068643
უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები	0	0	0
მიმდინარე დანიშნულების გრანტები	0	0	0
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	9142440	10000000	12068643



მიმდინარე დანიშნულების გრანტები	9142440	10000000	12068643
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 3 ივნისის კანონი №15-ს - ვებგვერდი, 03.06.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 6. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სხვა შემოსავლები **500000** ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
სხვა შემოსავალი	276065	400000	500000
შემოსავლები საკუთრებიდან	276065	400000	500000
აქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	0	0	0
ანექციები (ჯარიმები და საურავები)	0	0	0
წებაყოფილებითი ტრანსფერები	0	0	0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

თავი III

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები **24806593** ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
ხარჯები	18135211	22128975	24806593
შრომის ანაზღაურება	7783793	9469145	10598513
საქონელი და მომსახურება	3053214	3947945	4751553
სუბსიდიები	4329299	4636006	5784197
გრანტები	7295	0	0



სოციალური უზრუნველყოფა	2119017	2164300	2202950
სხვა ხარჯები	842593	1911579	1469380

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **702050** ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
01 00	უმაღლესი საბჭო	122174	17000	175000
02 00	მთავრობა და მასთან არსებული ორგანიზაციები	141287	144393	26000
05 00	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	13761	0	15000
06 00	განათლებისა და კულტურის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	36192	8300	368800
08 00	ზემო აფხაზეთში – აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა	0	2000	2500
11 00	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო	7473	49060	71950
18 00	აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო და მასთან არსებული ორგანიზაციები	355530	213787	36200
19 00	იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატი	113310	7100	6600
	სულ	789727	441640	702050

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივები	34967	0	0
ძირითადი აქტივები	34967	0	0

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 9. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და



არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

თანხა ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	11734213	14226187	16094959
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	11734213	14226187	16066109
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	11734213	14071187	15931109
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	155000	135000
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0	0	28850
704	ეკონომიკური საქმიანობა	1810730	1772795	1703292
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	903865	460495	482865
70421	სოფლის მეურნეობის სექტორის მართვასთან, ვეტერინარული, მცენარეთა დაავ. საწინააღმდეგო და სხვა მომსახურება	903865	460495	482865
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	906865	1312300	1220427
707	ჯანმრთელობის დაცვა	1417640	1705000	1917600
7071	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობ. და აპარატები	0	0	0
7072	ამბულატორიული მომსახურება	369745	380000	400000
7073	საავადმყოფოების მომსახურება	81750	26000	220000
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	11489	0	0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	954656	1299000	1297600
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2476472	2963523	3899460
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	28930	57279	517500
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1945161	2283301	2705503
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	330499	397603	421321



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი მომსახურება	171882	225340	255136
7086	სხვა სახის არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	0	0	0
709	განათლება	694146	896110	780480
7093	პროფესიული განათლება	0	0	0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	694146	896110	780480
710	სოციალური დაცვა	791737	1007000	1112852
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	0	0	0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	791737	1007000	1112852
	სულ:	18924938	22570615	25508643

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

თავი IV

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო (პროფიციტი/დეფიციტი)

თანხა ლარებში

დასახელება	2020 წელი ფაქტი	2021 წელი გეგმა	2022 წელი გეგმა
საოპერაციო სალდო	945569	-1358975	-237950
მთლიანი სალდო	190809	-1800615	-940000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 11. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება **(-940000)** ლარის ოდენობით.

ა) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა **0** ლარის ოდენობით.

ბ) განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება **940000** ლარის ოდენობით.



ფინანსური აქტივების ცვლილება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
ზრდა	190809	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	190809	0	0
კლება	0	1800615	940000
ვალუტა და დეპოზიტები	0	1800615	940000

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 12. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

თანხა ლარებში

ვალდებულებების ცვლილება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	0	0	0
საშინაო	0	0	0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0	0	0

2022 წლის პირველი იანვრისათვის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას ვალი არ გააჩნია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

თავი V

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2022-2025 წლების პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 13. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტები (პირველი დონე), მათ ფარგლებში განსაზღვრული პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და მესამის შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა
- მოსახლეობის სოციალური დაცვა
- განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია
- აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის/ კავშირების აღდგენა



- საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა
- მოსახლეობის დასაქმების და ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა
- დევნილთა ჩასახლებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება
- წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება
- ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა
- აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების ხელშეწყობა

1. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა

ქვეყნის მასშტაბით სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამები, რომლითაც დაცულია ადამიანების უფლება ამ სფეროში. მიუხედავად ამისა დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, პროგნოზულად ჯანმრთელობის შემდგომი გაუარესების მაღალი რისკის კატეგორიას განეკუთვნება, ეს გარემოება განსაზღვრავს გაცილებით მეტ მოთხოვნას სამედიცინო დახმარებაზე. დევნილი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მოკლებულია საშუალებას მიიღოს დროული და სრულფასოვანი სამედიცინო დახმარება. უსახსრობის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დიდი დაგვიანებით, დაავადებების გართულებული ფორმებით, რომელთა მკურნალობა სამომავლოდ უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, შესაბამისად იზრდება ფინანსური რისკები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობის მაჩვენებელი, იზრდება შეზღუდული შესაძლებლობები, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ლეტალურ შედეგს.

1.1. მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარება

დიაგნოზის ვერიფიცირების (მათ შორის, ონკოლოგიური დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკის თვალსაზრისით) და შემდგომი მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაღალტექნოლოგიურ გამოკვლევებს (ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, ენდოსკოპიური გამოკვლევები და ა.შ.), ასევე სხვადასხვა მკირადღირებული კლინიკა — ლაბორატორიულ და ბიოქიმიურ გამოკვლევებს, რომელთაც მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ აფინანსებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამბულატორიული დახმარების პროგრამის მიზანია დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის ამბულატორიულ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.2. მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარება

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით, ასევე ხორციელდება გეგმიური კორონარული ანგიოგრაფია.

1.3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ითვალისწინებს სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისას პაციენტთა/ბენეფიციართა მხრიდან თანაგადახდას. წლების პრაქტიკა აჩვენებს, რომ თანაგადახდის თანხების მოძიება ავადმყოფების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ან პრაქტიკულად შეუძლებელია, ამის გამო სამედიცინო დაწესებულებებს მიმართავენ დაგვიანებით, რის შედეგად იზრდება ავადობის მაჩვენებლები, დაავადების გართულებების ალბათობა, მცირდება მკურნალობის ეფექტურობა, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. აღნიშნული მოიცავს: ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობას, ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხელშეწყობას, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევას და სამედიცინო დანიშნულების საგნებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენას.



1.4. ექიმების გადამზადება

უწყვეტი სამედიცინო განათლება უწყვეტი პროფესიული განვითარების ძირითადი კომპონენტია, რომელიც მოიცავს როგორც თვითგანათლებას, ისე ფორმალურად სწავლების/მზადების პროგრამებში მონაწილეობას. აგრეთვე სხვადასხვა საქმიანობებს, რომლებიც სამედიცინო პერსონალის პროფესიული ცოდნის და უნარ-ჩვევების განმტკიცებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე სპეციალისტთა გადამზადების პროგრამის დანერგვა ხელს შეუწყობს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსახლეობისათვის ხარისხიანი, კვალიფიციური სამედიცინო სერვისის მიწოდებას.

1.5. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების მხარდაჭერა

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ – აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოს მეშვეობით ფინანსდება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის, კოვიდსტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერის ქვეპროგრამა, „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურების“ ქვეპროგრამა.

1.6. სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება

სარიტუალო მომსახურების პროგრამა ითვალისწინებს ძირითადი ლოკაციებიდან (თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, ბათუმის სამედიცინო დაწესებულებები) გარდაცვლილის ტრანსპორტირებას ენგურის ხიდამდე (რუხი, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი) საშუალო ღირებულების ჩასასვენებელით და სხვა თანმხლები (მათ შორის, COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციები) მომსახურების გათვალისწინებით.

2. მოსახლეობის სოციალური დაცვა

ქვეყანაში მოქმედებს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა, ოჯახურ მზუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა გარკვეული კატეგორიის სოციალური მდგომარეობა არის მძიმე, რისთვისაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო უზრუნველყოფს ერთჯერადი ფულადი დახმარებით მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2.1. დევნილთა სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით.

2.2. დევნილთა დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად მძიმე კატეგორიის ოჯახებისათვის საცხოვრებელი უზრუნველყოფაში მხარდაჭერას, ქირის თანხის ანაზღაურების გზით.

2.3. აფხაზეთიდან დევნილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მხარდაჭერა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად მძიმე კატეგორიის ომისა და სამხედრო/თავდაცვის ვეტერანთა ერთჯერად დახმარებას.

2.4. აფხაზეთიდან დევნილთა განსახლების ობიექტებში მცხოვრები დევნილი ოჯახების გამრიცხველიანება/აბონირება



პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად მძიმე კატეგორიის ოჯახებისათვის საცხოვრებელ ფართებზე გამრიცხველიანება/აბონირებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებას.

2.5. სოციალური სოლიდარობა

პროგრამა ითვალისწინებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა გარკვეული კატეგორიის სოციალურად მძიმე მდგომარეობის მქონე პირთათვის სადღესასწაულო დღეებში საჩუქრების გადაცემას.

2.6. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელებისას ზემო აფხაზეთიდან

იგპ-თა სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს ზემო აფხაზეთიდან დევნილთა სხვადასხვა კატეგორიის მოწყვლადი ჯგუფებისთვის ბავშვთა კვების პროდუქტებით და ჰიგიენის საგნებით ერთჯერადი დახმარების ვაუჩერის წესით დაფინანსებას და ერთჯერად ფულად დახმარებას. დახმარების გაცემის წესი, ოდენობა, ბენეფიციართა კატეგორიები და შერჩევის კრიტერიუმები განისაზღვრება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ნორმატიული აქტით.

2.7. გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება

პროგრამის ფარგლებში სამინისტრო სამიზნე ჯგუფს უზრუნველყოფს ფინანსური დახმარებით. ბენეფიციართა სია განისაზღვრება სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. სამინისტრო ახდენს ბენეფიციარების პროგრამით განსაზღვრული სახსრებით უზრუნველყოფას ქართულ საბანკო სივრცეში.

3. განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სფეროში შემავალი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი; აფხაზეთიდან დევნილი ყველა პირისთვის ზოგადი და უმაღლესი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო და აღმზრდელობით სფეროში დასაქმებულთა განვითარება;

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფლობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას“. საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ“ აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია ხელი შეუწყოს ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას, აფხაზეთის შემოქმედებითი რესურსისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის დაცვას, მის განვითარებაზე ზრუნვას, მიღწეულის წარმოჩენა და პოპულარიზაციას.

მნიშვნელოვანია ხელოვნების სფეროში მოღვაწე ფიზიკური და იურიდიული პირების შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა; აფხაზეთის ხელოვნების, როგორც ერთიანი ქართული კულტურის ორგანული ნაწილის წარმოჩენა; კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა; ხელოვნების სფეროში



პრემიების დაწესება.

3.1. განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიზნად ისახავს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში ხელშეწყობას.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში კონტროლი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების, სტანდარტების და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შესრულებაზე მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

გამოავლინოს განათლების, კულტურის და სპორტის სფეროებში პრობლემები და ნაკლოვანებები. პრობლემის აღმოსაფხვრელად დასახოს პრიორიტეტები და განახორციელოს ის ღონისძიებები, რომლებიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და პოპულარიზაციას.

საინფორმაციო ბაზის შექმნა სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ – საგანმანათლებლო, სკოლისგარეშე სახელოვნებო და სასპორტო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების შესახებ;

ხელშეწყობა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებისა და პროგრამების, მათ შორის, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტისა და პროგრამის პილოტირებას, დანერგვას და მონიტორინგს;

3.2. სკოლების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება

ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა ითვალისწინებს საჯარო სკოლების ავტორიზაციის პროცესს, რაც სკოლებში მოსწავლეზე ორიენტირებული, უსაფრთხო, ინფრასტრუქტურულად გამართული გარემოს შექმნას გულისხმობს. ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განთავსებული 13 საჯარო სკოლა, რომლებიც საჭიროებენ ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსის გაუმჯობესებას.

სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ოკუპირებული გალის რაიონის ომამდელ საზღვრებში მოქმედი 30 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობა.

3.3. წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერა

განხორციელდება აფხაზეთიდან დევნილი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების (ბაკალავრები, მაგისტრანტები), სამედიცინო/სტომატოლოგიური დაწესებულებების რეზიდენტების დაფინანსება. გაიცემა სტიპენდიები სხვადასხვა მიმართულებით. განხორციელდება სხვადასხვა სახის შეხვედრები, მათ შორის, მოეწევა საზაფხულო ბანაკი.

3.4. ოკუპირებულ ტერიტორიაზე განათლების ხელშეწყობა

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, კერძოდ, გალის რაიონში ონლაინ საკვირაო სკოლის ფუნქციონირება, აღნიშნულის მიზანია აფხაზეთის საჯარო და გალის რაიონში მდებარე საშუალო სკოლების მოსწავლეთა ზოგადი განათლების ამაღლება, ინტეგრაციის ხელშეწყობა.

3.5. მეცნიერთა მხარდაჭერა

პროგრამის მიზანია აფხაზეთიდან დევნილი მეცნიერების მხარდაჭერა და მათი სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა.

3.6. კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერის პროგრამა

კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის და სპორტის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით და მის



ფარგლებს გარეთ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და კავშირებთან კონტაქტის დამყარება; ლიტერატურის, მეცნიერების, ხელოვნების, პუბლიცისტიკის დარგების განვითარება და სტიმულირების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა სახელობითი პრემიების (გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია, ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემია) დაწესება და ამ პრემიების ლაურეატების გამოვლენა. ასევე ფინანსდება ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი „რიწა“, საყმაწვილო ჟურნალ „იალქანი“, ხდება ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის წიგნების, პლენერების და გამოფენების ორგანიზება, დევნილი ბავშვების მუსიკალური, ქორეოგრაფიული განათლების ხელშეწყობა, საჭირო პირობების შექმნა, სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა, აფხაზეთისა და ქვეყნის ძირითადი და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის პოტენციური რეზერვების გამოვლენა. ასევე ხორციელდება „აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხელშეწყობა“ სხვა კულტურულ შემოქმედებითი ღონისძიებები.

პროგრამა გულისხმობს სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებას და ჩატარებას, როგორიცაა: საშემსრულებლო ხელოვნების ხელშეწყობა, საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა, ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, „მე, აფხაზეთისთვის“, საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისთვის, სპორტულ ღონისძიებათა ინიციატივების ხელშეწყობა, აფხაზეთის სპორტული ტურნირები, წარმატებულ სპორტსმენთა, სპორტის მუშაკთა გამოვლენა-დაჯილდოება, „ევროპული არდადეგების“ ჩატარება და სხვა.

3.7. კულტურულ ფასეულობათა დაცვა და პოპულარიზაცია

აფხაზეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია სამინისტროს საქმიანობის ერთ – ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობა კარგავს თავის ავთენტურობას და უნიკალურობას. მნიშვნელოვანია აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის სრულფასოვნად შესწავლა, შენარჩუნება და გადაცემა მომავალი თაობებისათვის.

აღნიშნული მიმართულებით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, როგორიცაა: „სალექციო კვირეული „აღმოაჩინე აფხაზეთი“, ფოტოგამოფენა „კადრები აფხაზეთიდან“, „მოგზაურობა აფხაზეთში“ და ა.შ.

3.8. თეატრალური, სასცენო და სამუსიკო ხელოვნების ხელშეწყობა

თეატრის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება, საზოგადოებისათვის აქტუალური თემების წარმოჩენა სცენაზე, მაყურებლის სულიერი განვითარებისათვის ზრუნვა, იძულებით გადაადგილებულ პირთა კულტურული ცხოვრების მრავალფეროვნებისა და სულიერი გამხსნევებისათვის ზრუნვა. ამ მიზნით ხორციელდება სხვადასხვა თეატრების დაფინანსება, მათ შორის, სსიპ სოხუმის კ. გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი და სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი „თეთრი ტალღა“. ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს აფხაზეთის სიმღერის, ცეკვის და მუსიკალური ხელოვნების განვითარება. ქართული, აფხაზური და მსოფლიო საგუნდო და აკადემიური მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ; თანამედროვე ქართული და მუსიკალური შემოქმედების სტიმულირება. ამ მიზნით ხორციელდება აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „აფხაზეთი“-ს, „გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა“-ს და აფხაზეთის სიმღერის სახელმწიფო ანსამბლ „შავნაბადას“ დაფინანსება.

3.9. აფხაზეთის კულტურულ-შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა

პროგრამა მიზნად ისახავს აფხაზური კულტურის პოპულარიზაციას, ასევე შემოქმედებითი მიმართულებების და ხელოვნების დარგების ხელშეწყობას: საშემსრულებლო, ვიზუალური, შემოქმედებითი მიმართულებების გაძლიერებას; ინკლუზიური პროექტების ხელშეწყობას; ფესტივალებისა და კონკურსების (ადგილობრივი და საერთაშორისო), ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების, შემოქმედებითი და საიუბილეო საღამოების, საგამომცემლო საქმიანობის განვითარებას, გამოფენების მოწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საიუბილეო და შემოქმედებითი ღონისძიებები, ტრადიციული და სახალხო დღესასწაულები, ასევე



გათვალისწინებულია ხელოვნების სხვადასხვა სფეროს – ფესტივალებისა და კონკურსების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, საახალწლო ზეიმი დევნილი ბავშვებისათვის.

3.10. სპორტულ ღონისძიებათა ხელშეწყობა

სპორტის სფეროში სააგენტოს პრიორიტეტებს წარმოადგენს აფხაზეთში პოპულარული და ტრადიციული სპორტის სახეების განვითარების ხელშეწყობა. სააგენტო წარმართავს არსებული სპორტული ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო-საწვრთნელ მუშაობას (თავისუფალი ჭიდაობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, კალათბურთი, მინი-ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძალოსნობა, მიუდო და. ა.შ.), აღზრდა-მომზადებას.

სამოქმედო გეგმის მიზანია სპორტსმენთა ოსტატობის ზრდა, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და განვითარება. აფხაზეთიდან დევნილი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდა, გაჯანსაღება, მათი მასიური ჩაბმა სპორტულ სახეებში. მაღალი რანგის სპორტსმენების მომზადება სპორტის სხვადასხვა სახეებში, შემდგომში მათი დელეგირება აფხაზეთისა და საქართველოს ნაკრებში. სააგენტოს ამოცანაა აფხაზეთის, საქართველოს ნაკრები გუნდებისათვის და ოლიმპიური კანდიდატების მომზადება.

პროგრამის მიზანია სპორტული ღონისძიებების, ტურნირების ჩატარება/ხელშეწყობა. ადგილობრივ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპის, მსოფლიო და ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის მისაღებად ხელშეწყობა.

ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენების და ღვაწლმოსილი, ვეტერანი სპორტსმენების გამოვლენა-დაჯილდოება.

3.11. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით პროგრამა ინტეგრირებულია როგორც საგანმანათლებლო, ასევე შემეცნებითი კომპონენტებით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება „ევროპული არდადეგები“ და სხვა.

4. აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობის/კავშირების აღდგენა

კონფლიქტების მოგვარებისა და მდგრადი მშვიდობის დამყარების საფუძველი კონფლიქტის მხარეებს შორის შერიგებაა. ამისთვის კი საჭიროა დიალოგი, რომელიც ურთიერთნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის აუცილებელ ნიადაგს ქმნის. ამ მიზნის რეალიზებისათვის და სამშვიდობო პოტენციალის სრულად ამოქმედებისათვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების რესურსის ამუშავება. სამოქალაქო საზოგადოებას დიდი გამოცდილება და ცოდნა აქვს დაგროვებული კონფლიქტის შესახებ, აქვს ურთიერთობა მეორე მხარესთან, მაგრამ ამ ყველაფრის გამოყენება სრულად არ ხდება.

პრიორიტეტი ითვალისწინებს შერიგებაზე და ქართულ-აფხაზური საზოგადოების გაერთიანებაზე ორიენტირებული სხვადასხვა მიმართულების (ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური, საგანმანათლებლო, კულტურული, კვლევითი, სამართლებრივი დახმარების და სხვა) პროექტების დაფინანსებას/თანადაფინანსებას.

პროგრამის რეალიზება ხელს შეუწყობსახალხთაშორისიკომუნიკაციისადა ურთიერთობების გაძლიერებას, პრაგმატული მნიშვნელობის საკითხებზე თანამშრომლობის გადრმავებას სამოქალაქო სექტორის სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობით, რაც მშვიდობიანი თანაცხოვრების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

პროგრამის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების ინტეგრაციის მხარდაჭერა და აღნიშნული სამშვიდობო რესურსის გამოყენება ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დასარეგულირებლად, ასევე, ომით დაზარალებულ მოსახლეობას შორის ანტაგონიზმის, მტრის ხატის მოხსნა, მშვიდობიანი თანაარსებობის, ურთიერთქმედების, თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრება.



4.1. სულიერი მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება

პროგრამის მიზანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ და იძულებით გადაადგილებულ პირებში სულიერების დონის ამაღლება, ტოლერანტული ფასეულობების განვითარება და პატრიოტული სულის გაღვივება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, აღჭურვა, რემონტი და სხვა ღონისძიებები, საკვირაო სკოლა, ილორის ტაძარი, კათარზისი და სხვადასხვა ღონისძიებები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრის მეშვეობით ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიის დეოკუპაციისა და დევნილთა საკუთარ სახლებში ღირსეული დაბრუნების პროცესში ჩართულობა და ხელშეწყობა; აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული პროცესების საინფორმაციო უზრუნველყოფა; აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის სისტემატიზაცია, არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა. ახალი ამბების, რუბრიკების, დოკუმენტური მასალებისა და მიუკერძოებელი ანალიტიკური ინფორმაციების მომზადება აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენებზე.

4.2. აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედოების შენარჩუნება

აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს, სოფლის მეურნეობის, მათ შორის მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია, რაც პრაქტიკულად წარმოუდგენელია ვეტერინარული მომსახურების გარეშე.

პროგრამა გულისხმობს საჭირო ვეტპრეპარატების შეძენას და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფი შინაური ცხოველების დაავადებათა საწინააღმდეგო ვეტერინარული ღონისძიებების ჩატარებას, ასევე მცენარეთა დაცვითი და საპრევენციო ღონისძიებების განხორციელებას.

4.3. კომუნიკაციისა და ინფორმირების გაძლიერება

პრიორიტეტის მიზანია იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირებისათვის გარკვეული ეკონომიკური სერვისების მიწოდება, მთ შორის ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომელიც მოემსახურება აფხაზეთიდან იგპ-თა და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოსახლეობას.

4.4. სამშვიდობო ინიციატივები, სამოქალაქო ინტეგრაცია, ნდობის აღდგენის მხარდაჭერა და დიალოგისაკენ მიმართული შესაძლებლობების გაძლიერება

პროგრამები შემუშავებულ იქნა ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და აფხაზეთიდან დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობასთან შეხვედრების შედეგად გამოკვეთილი რიგი გამოწვევების გათვალისწინებით. შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს სამშვიდობო ინიციატივების განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ეფექტიანი მექანიზმების დანერგვას და განვითარებას ერთიანი, სტაბილური და სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცების მიზნით.

აღნიშნული პროგრამა დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის სახალხო დიპლომატიის, სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებში თანამშრომლებას წაახალისებს.

ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის კონსტრუქციული კომუნიკაციის გაძლიერებას და ნდობის აღდგენის ხელშეწყობას. პროგრამის მიზანია ქართული და აფხაზური საზოგადოების, აკადემიური პერსონალის, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, უცხოეთში მცხოვრები



თანამშრომლების როლის გააქტიურება შერიგების, ნდობის მშენებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებში.

პროგრამა, ითვალისწინებს ისეთი ღონისძიებებს როგორცაა: სამშვიდობო რესურსი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა, მშვიდობის ლაბორატორია, სამოქალაქო ჩართულობა და ევროპული მომავალი, საერთაშორისო რესურსები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის, სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერა და სხვა.

5. საარქივო ფონდის დაცულობის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა.

5.1. საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება

საარქივო მასალების სტანდარტების შესაბამისი დაცვა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის განვითარება, აღწერა, ცენტრალიზებული წესით აღრიცხვა, სტანდარტების შესაბამისი დაცვა და გამოყენება. დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია, დოკუმენტების მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტებზე სადაზღვევო და ელექტრონული საარქივო ფონდის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების საფუძველზე იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მომსახურება. ისტორიულად ღირებული საარქივო დოკუმენტების გამოფენის მოწყობა. ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის არქივებთან და საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების შემოტანა. ისტორიის ამსახველი მასალების გამოვლენა ჟურნალისა და ბუკლეტების გამოსაცემად. სამეცნიერო კონფერენციების მოწყობა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის შევსება დოკუმენტებით მატერიალური სახით, საარქივო ფონდის დოკუმენტების ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება; აფხაზეთის საარქივო ფონდის დოკუმენტების, განურჩევლად მათი შენახვის ადგილისა (მათ შორის, აფხაზეთის საარქივო ფონდში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების), აღრიცხვის, დაცვისა და შენახვის, აგრეთვე საქმისწარმოებაში არსებული წესების დაცვის კონტროლი და ზედამხედველობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო ფონდის დოკუმენტებით სარგებლობა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებათა არქივებისა და საქმისწარმოებაში დოკუმენტების ორგანიზაციის სრულყოფა, კოორდინაცია, ნორმატიული და მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა; აფხაზეთის საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე პერსპექტიულ-მიზნობრივი პროგრამებისა და მიმდინარე გეგმების შემუშავება.

აფხაზეთის პრობლემატიკასთან დაკავშირებით ინფორმაციის სისტემატიზაცია, არსებული და შესაძლო საფრთხეების იდენტიფიცირება, საინფორმაციო-ანალიტიკური მასალის მომზადება და მთავრობისათვის წარდგენა.

6. დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, ეკონომიკური სერვისების მიწოდება და ინტეგრაციის/ ჩართულობის წახალისება

პრიორიტეტული მიზანია დევნილთა დასაქმების ხელშეწყობა, ეკონომიკური საქმიანობის წამოწყების მხარდაჭერა, მათი პროფესიულ-ტექნიკური უნარ-ჩვევების გაძლიერება და სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ამასთან ერთად, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია დევნილთა ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერა, მათთვის შესაბამისი ეკონომიკური სერვისების მიწოდება, საკონკურსო საფუძველზე დევნილთა ბიზნეს-პროექტებისა და საქმიანი, სამეწარმეო წინადადებების უზრუნველყოფა. ასევე, აქტუალურია ადგილობრივ, სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებში/პროექტებში დევნილთა ჩართულობის ხელშეწყობა, მათ შორის, თანადაფინანსების გზით. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ისეთი პროექტებისა და სამომსახურეო წინადადებების დამუშავება და თანადაფინანსება, რომელთა განხორციელება წახალისებს დევნილთა ეკონომიკურ აქტივობას.

7. დევნილთა ჩასახლებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება



დევენილების მნიშვნელოვანი როდენობა განთავსებულია კომპაქტურად ჩასახლების ობიექტებზე. დევენილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტებში არსებული შენობები რიგ შემთხვევაში მოითხოვს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ამ მიზნით ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები, როგორიცაა: დევენილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებში საერთო სარგებლობის ფართების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისათვის გადაცემის ხელშეწყობა, იგპ-თა იურიდიული მხარდაჭერა, დევენილთა საცხოვრებლებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების უზრუნველყოფა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის თანამონაწილეობა, დევენილთა განსახლების ობიექტებში სარემონტო – აღდგენითი სამუშაოების ჩატარების უზრუნველყოფა, დევენილთა განსახლების ობიექტებში წყალკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია, „დევენილთა განსახლების ობიექტებში სახურავების აღდგენა/გამოცვლა, აფხაზეთიდან დევენილი შეჭირვებული მოსახლეობისათვის სარემონტო/სამშენებლო მასალებით დახმარება და სხვა.

8. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიზანია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე რეალურ დროში მიმდინარე პროცესებზე მსოფლიოს პროგრესული საზოგადოების ობიექტური ინფორმირება, ქართველების მიმართ განხორციელებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის მამხილებელი ფაქტებისა და მასალების მოძიება, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარების საერთაშორისო სისხლის სამართლებრივი ანალიზის მომზადება, ჩვენს ხელთ არსებული სხვადასხვა ენაზე თარგმნილი ლიტერატურისა და ფოტომასალების კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული კომპეტენტური ორგანოებისათვის მიწოდება; საქართველოს კანონში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც გაამარტივებს აფხაზეთისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღებას, აღდგენას, საზღვარგარეთ მცხოვრები დევენილებისათვის კი – ორმაგი მოქალაქეობის მიღებას; მეგობარი ქვეყნების ძალისხმევის მიმართვა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების სრული მხარდაჭერისათვის აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების და აფხაზეთიდან დევენილი თანამემამულეების პრობლემების გადაწყვეტაში ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ჩართულობის ხარისხის ამაღლება.

8.1. საკანონმდებლო საქმიანობა

კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.

საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

9. ფინანსური და არაფინანსური რესურსების მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა

ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების მოქნილ მართვას, სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სისტემის ჩამოყალიბებას, აგრეთვე სახელმწიფო სახსრების ეკონომიურ და ეფექტიანად ხარჯვაზე მონიტორინგს. დევენილი მოსახლეობისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების გამჭვირვალედ და ეფექტიანად მართვა, მისი სრულყოფილად აღრიცხვა, მოვლა-პატრონობა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა.

9.1. ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება და სრულყოფა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.



დევენილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

9.1.1. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სრულყოფა

ბიუჯეტის ფორმატის გაუმჯობესება, რაც გულისხმობს კანონმდებლობით და საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ნორმების დანერგვას და დაცვას.

ბუღალტრული აღრიცხვის ახალ საერთაშორისო სტანდარტებზე (IPSAS) დაფუძნებულ შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის შექმნა და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერგვა.

9.1.2. ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა

აქტივების მართვის სისტემის დანერგვა, აქტივების მართვის სისტემაში აღრიცხვა და ეფექტური მართვის განხორციელება.

9.1.3. საწარმოთა მართვა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოების მართვის ხელშეწყობა.

9.2. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე განთავსებული სახელმწიფო უძრავი ქონების აღრიცხვა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაცია.

აფხაზეთში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების ნუსხის ელექტრონული ვერსიის შექმნა.

10. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

ინსტიტუციური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აღმასრულებელი ორგანოს გამართული ფუნქციონირება.

10.1. მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელების პირობების შექმნა; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციისა და კონტროლის განხორციელება; მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი და ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფა; მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლის განხორციელება. „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ – დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება. აფხაზეთის პრობლემატიკის სათანადო წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

მუხლი 14. ახალი ინიციატივები

პროგრამული კოდი	პროგრამის/ ქვეპროგრამის დასახელება	თანხა
01 03	„დეოკუპაციის საკითხების საერთაშორისო პრეზენტაცია“	5000
05 03 01	კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები	70000
05 03 02	ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევები	170000



05 03 03	ენდოსკოპიური გამოკვლევები	20000
05 03 04	სარეაბილიტაციო და აბილიტაციური მკურნალობა	30000
05 03 05	ინსტრუმენტული გამოკვლევები	20000
05 03 06	ლაბორატორიული გამოკვლევები	10000
05 03 07	ოფთალმოლოგიური პროფილის პათოლოგიათა ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობა	30000
05 03 08	დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები	10000
05 03 09	ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურება	30000
05 03 10	მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევა	10000
05 04 01	მენჯბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირება	160000
05 04 02	გეგმიური კორონარული ანგიოგრაფია	60000
05 06 01	ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობა	660000
05 06 02	ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხელშეწყობა	70000
05 06 03	აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევა	95000
05 06 04	სამედიცინო დანიშნულების საგნების, ინდივიდუალური დაცვის და პაციენტთა მოვლის საშუალებების შეძენა	30000
05 06 05	ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვთა საკურორტო გამაჯანსაღებელი ბანაკი	20000
05 06 06	აფხაზეთიდან დევნილთა მედიკამენტებით მხარდაჭერა	75000
06 04 04	STEM განათლების ხელშეწყობა-მხარდი და ინოვაციური გონება	6000
06 04 07	„საზაფხულო ბანაკი“	19200
06 04 21	ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართულის ენის პედაგოგთა ტრენინგი	6000
06 04 22	აფხაზეთის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა	6000
06 04 23	თამაზ ნადარეშიშვილის,ლორიკ მარშანიას,გურამ გაბესკირიასა და მიხეილ ჯინჭარაძის სახელობის სტიპენდიები	3260
06 04 24	პროფესიული უნარების განვითარების მხარდაჭერა სკოლებში	10000
06 06 06	აფხაზეთის მოზარდები მედია პროექტში „ეტალონი“	3500
06 10 20	მოგზაურობა აფხაზეთში	30000
06 27 02 08	სიყვარულით, თქვენთვის	7500
06 27 02 09	ფერწერა აფხაზეთიდან	6000
06 27 02 10	შემოქმედებითი ზაფხული	8500
06 27 03 05	„სუფთა გარემო – ჯანსაღი ცხოვრება“	3000



06 27 03 06	ნორჩი ფეხბურთელების საზაფხულო სკოლა	2000
06 27 03 07	სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა	200000
06 27 03 08	აფხაზეთის სახელით მოასპარეზე კლუბების/გუნდების ხელშეწყობა	190000
11 13 05	დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებთა მხარდაჭერა	130000
11 13 06	დევნილთა მომსახურების ცენტრები	150000
18 07 23 01	„დასაქმების ხელშეწყობა“	81300
18 07 23 02	„ეკონომიკური საქმიანობის მომსახურება“	51065
18 07 23 03	„ეკონომიკური მომსახურება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე“	83000
18 07 23 04	ინფრასტრუქტურული პროექტების მომზადების მომსახურება	27500
18 07 24 01	„დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის გაძლიერება“	107000
18 07 24 02	„სასოფლო – სამეურნეო და ენდემური კულტურების წარმოების მხარდაჭერა“	68000
18 07 24 03	„მეფუტკრეების საქმიანობის გაძლიერება“	65000
18 10 02	„სინერგია-პროექტების თანადაფინანსება აფხაზეთიდან დევნილი და გამყოფ ხაზს მიღმა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“	60000
19 02 12	დიასპორა და დევნილ ემიგრანტთა მხარდაჭერა	80000
ჯამი:		2978825

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 20 აპრილის კანონი №11-ს - ვებგვერდი, 21.04.2022 წ.
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის 17 ოქტომბრის კანონი N20-ს - ვებგვერდი, 18.06.2022 წ.

თავი VI

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით **25508643** ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა
	ჯამი:	18924938	22570615	25508643
	მომუშავეთა რიცხოვნობა	574	463	444
	ხარჯები	18135211	22128975	24806593
	შრომის ანაზღაურება	7783793	9469145	10598513
	საქონელი და მომსახურება	3053214	3947945	4751553



	სუბსიდიები	4329299	4636006	5784197
	გრანტები	7295	0	0
	სოციალური უზრუნველყოფა	2119017	2164300	2202950
	სხვა ხარჯები	842593	1911579	1469380
	არაფინანსური აქტივები	789727	441640	702050
